

190/2  
1991



ISSN 0132 - 6007

ԵՐԿՐԸՄԸՐԻ

1991  
ԺԱՆՆԻ

# გვენი 26 მაისი

მ აპრილს ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა!

დაბ, ოთხმოცდაცხრა წლის იმ ტკივილიან და სასოწარმყვეთ მ აპრილს ოთხმოცდათერთმეტი წლის ეს ღიმილიანი და რწმენა-იმედის შემომავატებელი მ აპრილი დავუპირისპირეთ!

კიდევ უფრო გავიმართეთ წელში, მხრები გავშალეთ, უფრო ავმაღლდით, გავძლიერდით, გავძლიადით და სწორედ ამ დღეს ვიგრძენით კეშმარიტად ის სიხარული, სიამაჲე და აღტყინება, სიმოცდაცაგეტი წლის წინათ, 1918 წლის 26 მაისს რომ განუცდიდათ ჩვენს არტუთ შორეულ წინაპრებს, როცა „ქართველმა ხალხმა საქაროდ, მთელი მსოფლიოს განსაკონად განაცხადა თავისი ნება-სურვილი და გადაწყვეტილება, გამოხსუნდიყო რუხეთის იმპერიის შემაღგენლობიდან და შეექმნა დამო-

უკიდებელი, სრულუფლებიანი ქართული სახელმწიფო“.

რამდენი განსაცდელი, რამდენი მწარე დღე გადავიტანეთ იმ ვამიდან ამ ვამამდე!

რამდენჯერ დავიოკეთ ამ შვიდი ათწლეულის განმავლობაში ტუჩ-ჩაკვეტილებმა მკერდს მოწოლილი გმინვა, რამდენი ტკივილი არ დავიმჩნიეთ!

რამდენი შეიწირა თავისუფლები-სათვის ბრძოლამ, რამდენი გადაიყოლა სამშობლოს სევდამ!

რამდენს გავუძელით!

უნდა გავგებლო და გავუძელით! საქართველოზე ფიქრმა გავგაძლიეზინა, და კიდევ — თაობიდან თაობაში სისხლთან ერთად გადმოსულმა რწმენამ, რომ 26 მაისი გარდაუვალად განმეორდებაოდა და აკი განმეორდა კიდევ!

დაბ, იმ 26 მაისის გაგრძელებაა წლევეანდელი მ აპრილიც და წლე-

ვანდელი 26 მაისიც. და თუმცა საფიქრალ-საღარდებელი თუ საზრუნავი ახლაც ბევრი გვაქვს, იქნებ უფრო მეტიც, ვიდრე მაშინ, თუმცა არც ია-ვარდი ამოსულა ჩვენს სავალ ეკლიან გზაზე და არც მტერი დაგვეკლება, მაინც საბოლოოდ გამოვფხინდლით, გონებაც გადავიწმინდეთ და სულიერი ძალაც შევიმატეთ. იმედიც ხომ უფრო მოგვიმძლავრდა, რწმენაც ხომ უფრო გავგიბტაკცადა, თავისუფლების წყურვილიც ხომ გავგვიასკეცადა და ცხრაას თვრამეტის 26 მაისს საფუძველჩაყარილი დამოუკიდებელი საქართველოს ტაძარს ერთი ჩუქურთმიანი მტკიცე ქვა მაინც ხომ შევვატეთ უკვე!

და იხიც ხომ ურყევად ვირწმუნეთ, რომ წლევეანდელ აპრილ-მაისში თუ არა, მომავალ აპრილ-მაისში უველანი ერთად, უთუოდ, გუმხათსაც და ვადგამთ ამ დიდებულ ტაძარს.

1991 წლის 26 მაისს გამართული დემოკრატიული არჩევნების შედეგად

**საქართველოს  
რესპუბლიკის  
პირველ პრეზიდენტად**

არჩეულია ბატონი

**ზვიად**

**გამსახურდია**





ბუკავლი  
ბაშოვის 1928 წლიდან

19.7.90

საპარტოვლოს, რესპუბლიკის განათლებას საშინისტროს  
ჭრველთვიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური  
ილუსტრირებული საგანწილო ჟურნალი

# ნომრის შინაარსი

საპარტოვლოს სკოლებში გოლო ზარი დაიკავა, როგორც  
მას გვაუწყა, რომ პარტიულ მოსწავლეთა ერთი ნაწილი  
ჩვენი საზოგადოების სრულყოფიანი წევრი გახდა.  
რადგან სასიხარულო იქნება, თუ ყველა მათგანი საზო-  
გადოებისათვის საჭირო და სასარგებლო წევრად გახდება!

2 „როგორი უნდა იყოს მართალი  
სიტყვა? — ამ საკითხს ირგვლივ  
თავად მოწყველითა აწრია ხანტერისი.  
ჩვენმა კორესპონდენტმა ნანა შამაღინი.  
შვილმა სწორედ ამ მხინდი მოიწვია „ნა-  
კადღისი“ რედაქციაში თბილისელი მოს-  
წავლედები.

5 შეპირებისაგან მოვიტოვოთ ხერ-  
ბათობის რეაგნაციაზე „სმკლმ“,  
როგორც შუადღისი ინსტრუმენტი.


6 აქ ვაქვეყნებთ ბავშვთა უღლებების  
ფელაჩაციის ტექსტს.  
მამიძე ბუკავლის ლექსს „ღვამი-  
ანი“ ვახებებთ რუბრიკაში „ღმე-  
ნი, რომელიც გვამის-გვამთან უშვარ-  
დათ“.

7 ანტანა და სინა-მარუხაძის  
„პატარა უღმინოების“ ვიარტი  
ჩინკაძისებულ თარგმანს ამ ოდითკლი წლის  
წინა დღისებამ და კარგ ხინა, ბიბლიო-  
გრაფიულ ავთოგრაფიად ქვეყნით. „ნაკადუ-  
ლი“ იწყებს მხოველი ხანაშვილი ლიტერა-  
ტურის ამ შედევრის პუბლიკაციას ეპიკუ-  
რისებულ ნახებებოვრად.

9 მანანა ბალაშვილიც წერდა „306  
შაბატონებს სჭირებს“ ქვეყნებდა  
რუბრიკით „პრობლემის“.

16 ნინო ბუზარაშვილის პატარა მო-  
თხრობა „ნიმეი“ დახურათა მხატ-  
ვლობის მისაზრთი:

18



ვარა თინა კარაშვილმა.

20 რუბრიკით „რბომე სნიდენი რის-  
თინის“ ღვათი ღმობარაშვილი  
იწყებს ახალ კურსს: „აქითხამ — პულ-  
შარაშვილი, პანსანი — ნერიოშალი“.

22 დღიდან მოსწავლეთა შემოქმედება  
ახალი რუბრიკით გამოქვეყნდება.  
რომელსაც, შეიხველთა თხოვნით, „ბალ-  
დანი“ დავარჯიშით.

24 გურამ ბასიბაშვილის წერილი  
„მინი“ ფურხალი ვსნიით ახალ  
რუბრიკას „ამთეზარაშვი“.

25 ნოდარ იმანიძე მოვეტანა სა-  
მსხე-ვაგახეში ჩაწერილი ხალხური  
გალობლებს „გამლის პარანანი — პარინ  
ღმთამაბა“.

26 პატარა ფეხსურთელთა გუნდი „პე-  
კამ“ შეღმინეს ხერთაშობის ტურ-  
ნირზე მიგზავნებდა. ნორს სპორტსმენ-  
სკოფეხისაღებზე მოგთხობობთ ნინო  
სარაშვილი.

30 რუბრიკაში „ნიმეშპის ღამინის-  
თინი“ ვაგრძელებთ დი სხაღმერის  
მოკლებს „თხითხაღმარაშინის კარნი  
მოხარღმთათის“.

■ ვარჯიანის პირველ გვარღმე — ბლი-  
სო ცაბაშინის ნახატ.

მოავარი რედაქტორი  
პალარი შინაარსი  
სარედაქციო კლდეი:  
ლია ანდელაძე, ნარაზი ანბა.  
პაპა (პეკ) ზღვარა, მანანა ბალა.  
შვილი, ანთანელი პარანანი,  
დომონ პადაშვილი, იოსებ ნაბ-  
სინიძე, ბიორე ფიციოშვილი  
(მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შა-  
მანა, ნინო ნაზარინი, ბაბუ-  
ლია შვილი, ვარაზ ბუზარინი,  
ნინო სარაშვილი.

რედაქციის მისაზრთი:  
884098, თბილისი, კოსტავას ქ. 14  
ტელფონები: მოავარი რედაქტორის — 98-81-81  
სახუბისგებელი მღენის — 98-88-05.  
დადეცა ახაწობად 15. 05. 91. ზელმოწერილია დახა-  
ბეჭედად 12. 08. 91 წ. ქალღმის ფურხალი 80X80.  
ფურხალი ნახებულ ფურხალი 4. საარტიკლო-საგა-  
მოძებელი თამაზი 8.55. შეც. 1011. ტირაჟი 25.000.  
ფურხალი იაწვი და დაიხედო საქაროველი რესპუბ-  
ლიკის გამოქვეყნობის „სამშობლოს“ ტემაში.

«НАКАДУЛИ». ежемесячный ху-  
дожественно - публицистический  
иллюстрированный журнал для  
школьников Министерства про-  
свещения Республики Грузия.  
Цена 40 коп.  
Адрес редакции:  
380096, гор. Тбилиси,  
Ул. М. Костая, № 14.  
Гл. редактор  
Валерий ДЖИНЧАРДЗЕ

საპარტოვლოს  
ბუკავლი  
პირველი  
ბუკავლი



„პანათლავა არს უმჯობესი და უსაინფორმაციო საფუძველი კარიერაშია. ბიზს ავთვის საზოგადოებასა.“  
სიღმინე დიდუბელი

**თანამედროვე** სკოლა... რა მოთხოვნები მას დღევანდელ ბიზნესში? რა პრობლემების წინაშე დგას იგი, რა უჭირს და რა ულბინს? ჩავფიქროთ, რომ ამ საკითხებზე ყველაზე საინტერესოდ თავად მოსწავლეები ისაუბრებდნენ. ამიტომ რედაქციამ მოიწვიეთ თბილისის 155-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები: მათ გამაცემლიძე, თამუნა ლაშვი, ნათია კობალაძე და მე-100 საშუალო სკოლის მეთათვისელები: ნოდარ პაპუაშვილი და გიორგი თაქთაქიშვილი.

ქვემოთ დანიხავთ, რომ ბევრი საყურადღებო პრობლემა წამოიჭრა საუბრის დროს.

**გიორგი თაქთაქიშვილი:** საზოგადოებაში ყოველთვის ზღვებდა ცხოვრებისეული და ისტორიული გამოცდილების თაობიდან თაობისათვის გადაცემა. ჩემს თაობას უკვე აღარ სჭერა კომუნისმისა, და მაღლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ ჩვენ ყველაზე ძვირფასი — სამშობლოსა და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის სურვილს დაეკარგავდით და ზოგიერთებივით მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქრებდით.

**ნოდარ პაპუაშვილი:** ადრე მოზარდს სკოლაში წართმეული ჰქონდა ინიციატივის შესაძლებლობა. ყველაფერი „ზემოდან“ მოსული ინსტრუქციებისა და დადგენილებების შესაბამისად ხდებოდა. ამჟამად სკოლაში ქაოსი სუფევს: ძველი დაინერგა, ახალი კი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ბავშვები დაიბნენ, მათ აპათია და უემციობა დაეუფლათ. დემოკრატიის არასწორმა აღქმამ მოზარდები თავხედობამდე, უწესრიგობამდე და დანაშაულის ზრდამდე მიიყვანა.

**მაკა გამცემლიძე:** სკოლის მიზანი უნდა იყოს ისეთი აღმზიანის აღზრდა, რომელიც თავისი ცოდნით, მა-

ღალი მოქალაქეობრივი მრწამსით შეძლებს ჩვენი საშობლოს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წარმატებას, უპირველესად, უნდა შევხედოს მოსწავლის ნიჭი, უნარი და ცოდნა, რომელსაც მას სკოლა მიცემს.

**ნათია კობალაძე:** ახლა სკოლაში ძალზე დაძაბული სიტუაციაა. მოსწავლეები ვაკევილებს აცდენენ... ზნორად იძულებული ხარ, არცთუ საინტერესო დავალება შეასრულო. 45-წუთიანი ვაკევილიში მასწავლებელი ვერც მასალის სრულფასოვან ახსნას ასწრებს და ვერც მოსწავლეთა გამოკითხვას.

**თამუნა ლაშვი:** მართალია, მე, მაგალითად, ქართული ენითა და ლიტერატურით ვარ გატაცებული და გული მიწყდება, მასწავლებელი დროის უკმარისობის გამო დამატებით მასალის მოცემას რომ ვერ ასწრებს.

**ნათია კობალაძე:** ამიტომაც იძულებული ვართ, რეპეტიტორებს მივმართოთ. ისინი ვაცოდებით უფრო ღრმა და საფუძვლიან ცოდნას გვაძლევენ.

**გიორგი თაქთაქიშვილი:** რა გამოდის, ვისაც მატერიალური შესაძლებლობა არა აქვს, იგი, ცხადია, რეპეტიტორებთან ვერ ივლის და, მასთანადე, ინსტიტუტის გარეთ უნდა დარჩეს?

**მაკა გამცემლიძე:** ჰოდა, დარჩეს! ყველამ ხომ არ უნდა ისწავლოს? ვიღაცამ ქარხანაში უნდა იმუშაოს, სხვამ — მეურნეობაში...

**ნოდარ პაპუაშვილი:** იქნებ ის ბავშვი შენზე და ჩე-

# თქვენნი



გიორგი თაქთაქიშვილი

მზე ნიჭიერია? იქნებ მისი ცოდნა ქვეყანას უფრო გამოადგებოდეს...

**ნათია კობალაძე:** ამიტომ სკოლის პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მასწავლებელს შეეძლოს, ბოლომდე თქვას სათქმელი და მოზარდმაც ბოლომდე გამოამქლავნოს თავისი ცოდნა და უნარი.

**თამუნა ლაშვი:** წარმოუდგენელია, რომ მოსწავლემ ერთნიარად შეისწავლოს ათი-თორმეტი საგანი.

**გიორგი თაქთაქიშვილი:** ამიტომ, კარგი იქნება, საბოლოოდ დამკვიდრდეს დიფერენციალური სწავლება. ფილოლოგობას ვაპირებ. მთელი ჩემი დრო და ენერჯია ჰუმანიტარული საგნების საფუძვლიან შესწავლას მივნიდა



მოვანდომო, მაგრამ ამის საშუალება არა მაქვს. არადა. არ მაინტერესებს ეს ფიზიკა, ქიმიკა, მათემატიკა! ვის ვატყუებ მე, როცა საყვარელი საგნის დაუფლებასთან ერთად ზერეულდ ვფურცლავ ჩემთვის უსარგებლო სახელმძღვანელოებს?

**ნოდარ პაპუაშვილი:** გამოდის, რომ მოსწავლემ ზოგადი განათლება არ უნდა მიიღოს? დაეშვათ, გატაცებული ვარ ფიზიკითა და მათემატიკით, მაშ, არაფერი უნდა გამეგებოდეს ისტორიისა და გეოგრაფიის, ბიოლოგიისა თუ ქიმიის?

**თამუნა ლაშხი:** ვფიქრობ, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის შესწავლას მეტი დრო



ნათია კობალაძე

# ჩემიან,

უნდა ეთმობოდეს. ავი ამბობენ, რომ ჩვენი ენა ჩვენი წარსულია და მას დაფასება და მოვლა, შთამომავლობისათვის სათუთად გადაცემა სჭირდება. კარგი იქნება, თუ ჩვენც ამ ტრადიციას გავაგრძელებთ და ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მშობლიური ენისა და ისტორიის სიყვარულს ჩავუნერგავთ. სასწავლო პროგრამა ამ საგანშიც დასახვეწია: გალაკტიონის, რუსთველის, ვაჟისა და სხვა მწერლების შემოქმედებას მეტი დრო უნდა დაეთმოს.

**მაკა გამცემლიძე:** ვახტანგ VI-ისა არ იყოს. მიძიმოს. სასწავლო ბევრი მაქვს. სიცოცხლე — შემოკლებული.



თამუნა ლაშხი

იმდენი მასალა მაქვს ასათვისებელი, რომ დაღამებამდე მიწევს შეცადინება.

**ნოდარ პაპუაშვილი:** პროფესიის სწორი არჩევა არსებითად არის დაკავშირებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებთან. ჯერ კიდევ დიმიტრი უზნაძე ამბობდა: „პროფესიის არასწორი არჩევის ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილება დამლუბველად მოქმედებს ხალხის ჯანმრთელობაზე, ამიტომ საზოგადოება და სახელმწიფო არ შეიძლება გულგრილი დარჩეს მისი წევრების მიერ პროფესიის არასწორად არჩევის შედეგებისადმი“.

# ახლავე!

**ნათია კობალაძე:** სკოლამ მოსწავლეთა პროფორიენტაციას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. მე მიენდა, მხატვარი ვამოვივდი და მჭერა, ამით სარგებლობას მოვუტან სამშობლოს. ჩემი აზრით, სკოლაში ხელოვნების ისტორია უნდა იკითხებოდეს. მჭერა, ეს საგანი მრავალ მოსწავლეს დააინტერესებს. რაიმე ისეთი ოთახიც რომ გამოიძენებოდეს, სახელოსნოს მაგივრობას რომ გასწევს, ბავშვები სიხარულით იმუშავებენ, დახატავენ, გამოქვირვავენ...

**გიორგი თაქთაქიშვილი:** სკოლაში ნაკლებად ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები. ვისაც ფიზიკა და ქიმიკა უყვარს, მათ ცდების ჩატარებაც აინტერესებთ.

**ნოდარ პაპუაშვილი:** ვფიქრობ, სკოლაში მეტი სიმკაცრე უნდა იყოს. ბავშვს აღარაფრის ეშინია, თავის უფლად აცდენს გაკვეთილებს, გამოდის გარეთ და იჭვე. სკოლის მასწავლებლად რაბუნადარობს. ან სოკობივით

მომრავლებელ კოოპერატივებში შეიქცევა ნამცხვარ-სა და ტკბილეულს.

**ნათია კობახია:** სკოლაში გამოცარიელებული ბუფეტის ნაცვლად ერთი კოოპერატივი რომ გაიხსნას, ბავშვები ქუჩაში აღარ გაიქცევიან ნამცხვრისა და წყლისათვის. ესეუ ვთქვათ: შვიძლებმა, შენობაშივე დავღათ კომპიუტერები ან ვასათობებში, მაშინ ბავშვები აღარ ეცდებიან, მიატოვონ სკოლა და გაკვეთილები.

**თაშუა ლაშხი:** კი მაგრამ, ეს როგორ მოხერხდება?  
**ნათია კობახია:** დიდერენკირებელი სწავლების დროს გაკვეთილების ხანგრძლივობა შეიძლება 2 საათამდე გაგრძელდეს. შუალედში ნახევრასათიანი შესვენ-

**გიორგი თაქთაქიშვილი:** მოსწავლის ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა მასწავლებლის გაკალითსაც ენიჭება.

**ნათია კობახია:** ვეთანხმებით. ჩვენ ყოველთვის ეცდილობთ, მივბაძოთ ვინმეს, კარგი მასწავლებელი კარგი გაკვეთილია ბავშვისათვის. მოზარდი ცდილობს, მასაგით კეთილსინდისიერი, პატიოსანი, შრომისმოყვარე და გულკეთილი იყოს.

**ნოდარ პაპუაშვილი:** სკოლაში უფრო ღრმად უნდა ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია, რადგან რწმენა დაქარბულ ხალხს ლევის რწმენა თუ გადაგვარჩენს. საქართველო ლევისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მას აღორძინება უწყრია, ამიტომ თითოეული მოსწავლე რომ გაითავისებდეს და შესარულებდეს ქრისტეს ამ მცნებას, იგი ვეღარ ჩაიდენს ცუდ საქციელს და ეცდება, სამშობლოსათვის რაიმე სასიკეთო საქმე გააკეთოს.

**გიორგი თაქთაქიშვილი:** მე რომ სკოლაში დირექტორი ვიყო, ყველა ახალგაზრდას ჩავუნერგავდი, რომ შიტინგებზე და ქუჩაში ყვირილი — „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ — საქმით ამტკიცება უნდა. ახლა ჩვენ არ გვარგებს განზე დგომა. ჩვენი უპირე-



**ნოდარ პაპუაშვილი**

ნება მოეწყოს და სწორედ ამ დროს მიეცება მოზარდებს გაართობის საშუალება.

**მაია გამცემლიძე:** სიამოვნებით ვივლიდი სკოლაში ფორმით. მაშინ სკოლა სკოლას დაემსგავსებოდა და არა მოდების ატელიეს. ყველა მშობელს ხომ არა აქვს საშუალება. თავისი პირში თურქეთის ან სინგაპურის ნაწარმში გამოაწყოს. ჰოდა, იჩაგრება პატიოსანი მშრომელი ადამიანის შვილი. პიროვნება ჩაცმით არ უნდა განისაზღვრებოდეს!

**თაშუა ლაშხი:** რა კარგად აქვს ნათქვამი გალაკტიონს:

„როგორ ბევრია შვილი ადამის, როგორ ცოტაა ადამიანი.“



**მაია გამცემლიძე**

ლსი მოვალეობა — საფუძვლიანი ცოდნის მიღება — პირნათლად უნდა შევასრულოთ, რადგან გაუნათლებელი, უგუნური ადამიანი დაღუპავს აღდგომის გზაზე შემდგარ ერს. ჰოდა, გავზარდოთ ჭეშმარიტად განათლებული „კაი ყმა“, გაუფრთხილდეთ და გადავჩინოთ ენა. მიმულო, სარწმუნოება!

**საუბარი ჩაიწერა  
 ნ. ფაველინივილიმა  
 დ. იაკობაშვილიწ ნოთო**

## სკოლა,

## რტგორც

## მშვიდობის

## ინსტრუმენტი

**მსოფლიო ასოციაცია „სკოლა, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი“** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს საერთაშორისო სტატუსი გაეროში, იუნესკოსა და ევროსაბჭოში. ორგანიზაციის მიზანია – აგანიარალოს გონება და ხელები“. ასოციაციის საქმიანობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმართულია მთავარი ამოცანის გადასაჭრელად: ხელი შეუწყოს ხალხთა გაერთიანებას შიშის განსხვავებულობის პატივისცემის გზით. ასოციაციამ შეიმუშავა კოდექსი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სამოქალაქო განათლების საყოველთაო პრინციპები“ და ვრცელდება ადამიანის უფლებათა დეკლარაციისთან ერთად იგი შეიცავს შემდეგ პრინციპებს:

- სკოლა ემსახურება კაცობრიობას.
  - სკოლა ხელს უწყობს მთელი პლანეტის ბავშვების ურთიერთგაგებას.
  - სკოლა ასწავლის ცხოვრებასა და ხალხის პატივისცემას.
  - სკოლა ასწავლის შემწინარებლობას, რომელიც გვეხმარება, გავებით მოვეპყროთ განსხვავებულ პირობებებსა და ქცევის მოდელს.
  - სკოლა ასწავლის ბავშვებს, დათრგუნონ თავიანთი ეგოსტური მისწრაფვები, რაც ხელს უწყობს იმის შეგნებას, რომ კაცობრიობის პროგრესისათვის აუცილებელია ყველა ღონე ვიხმაროთ დედამიწის ადამიანების თანამშრომლობისათვის.
- 1984 წ. ასოციაციამ „სკოლა, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი“ შენევაში შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მასწავლებელთა საერთაშორისო ცენტრი, რომელშიც წარმოებს

დოკუმენტების შეგროვება და შეცნიერული კვლევა. ეს პირველი ამგვარი ცენტრია მსოფლიოში. იგი ღიაა თითოეული მასწავლებლისათვის, განურჩევლად იმისა, თუ რა საგანს ასწავლიან ისინი და რა დონეზე მუშაობენ; დაწვებით, საშუალო თუ უმაღლეს სკოლაში. მათ შეუძლიათ მიმართონ განათლების სამინისტროებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ნებისმიერ ადამიანს



დათო ბიბიშვილი, ლამა, 10 წლის.

ზოთაბარაძე, ნინო ბალააშვილი, თბილისი, 75-ე სკოლა, 111 კლასი.



ან ორგანიზაციას, რომელიც შეუფოთებულა ადამიანის უფლებების პრობლემის შესწავლით და მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხებით.

1981 წ. ადამიანის უფლებათა საკითხების შესწავლისათვის ასოციაციას მიენიჭა იუნესკოს ხაპათი დიპლომი, 1988 წელს კი – გაეროს პრემია „მშვიდობის დეხსანი“.

(„კურიერ იუნესკო“. 1990 წ. აპრილი).





პრეზიუმა

1959 წ. 20 ნომერი.

მხედველობაში იღებს რა, რომ გაერთიანებული ერების საბჭოებმა წესდებით სულაღა დადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანთა მართლი უფლებების, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი, მტკიცედ გადაწყვიტეს, ხელი შეუწერონ სოციალურ პროგრესსა და ცხოველების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების დროს.

მხედველობაში იღებს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში გამოაცხადა, რომ ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს მითითებული უფლებებით და თავისუფლებებით მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა მრწამსისა, პროწინდი ან სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადებისა ან სხვა მდგომარეობისა.

მხედველობაში იღებს რა, რომ ბავშვს, გამომდინარე მისი ფიზიკური და გონებრივი მოუწიფებლობიდან, სჭირდება განსაკუთრებული დაცვა და ზრუნვა დაბადებამდე და დაბადების შემდეგ შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით.

მხედველობაში იღებს რა, რომ ამგვარი სპეციალური დაცვის რეკომენდაციის მიზნით შედგა 1924 წლის ქენევის ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ასევე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხების შემსწავლელი სპეციალური დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებში.

მხედველობაში იღებს რა, რომ კაცობრიობა მოვალეა მისცეს ბავშვს ყოველივე საუკეთესო, რაც მას გააჩნია,

### განმარტარი ასახალა

აცხადებს ბავშვთა უფლებების მოცემულ დეკლარაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების მედნიერი ბავშვობა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის დეკლარაციაში მითითებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება, მოუწოდებს მშობლებს, ცალკეულ პირებს — მამაკაცებსა და ქალებს, ასევე ნებაყოფლობით ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფალთ და ეროვნულ მთავრობებს, რომ მათ აღიარონ და შე-

ძლებინდებოდეს დაიცვან ეს უფლებანი საკანონმდებლო და სხვა საშუალებებით, რომელთაც თანდათანობით მიიღებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

**პრინციპი 1.** ბავშვი უნდა ფლობდეს ამ დეკლარაციაში მითითებულ ყველა უფლებას. ამ უფლებების ფლობს ყველა ბავშვი ყოველთვის.

## ბავშვთა უფლებების დეკლარაცია

გამონაკლისისა და ყოველგვარი გამორჩევის ან დისკრიმინაციის გარეშე ისეთ ნიშნებზე დაყრდნობით, როგორცაა: რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა რწმენები, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება, რომელიც ესხება თავად ბავშვს ან მის ოჯახს.

**პრინციპი 2.** ბავშვი კანონითა და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური დაცვით, უნდა შეიქმნას შესაძლებლობანი და ხელსაყრელი პირობები მისი ფიზიკური, გონებრივი, მორალური, სულიერი განვითარებისათვის სოციალური თვალსაზრისით ჯანმრთელი

და ნორმალური გზით, თავისუფლად და ღირსების პირობებში. ამ მიზნით შექმნილი კანონების უზიარებელი მიზანი უნდა იყოს ბავშვთა ინტერესების საუკეთესოდ უზრუნველყოფა.

**პრინციპი 3.** ბავშვს დაბადებისთანავე აქვს სახელისა და მოქალაქეობის მინიჭების უფლება.

**პრინციპი 4.** ბავშვმა უნდა ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთით, მას უნდა მიეზღოს ჯანმრთელად ზრდისა და განვითარების უფლება; ამ მიზნით, უნდა უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის მოვლითა და დაცვით სპეციალური რეორგანიზაციები, ისე დედა — მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომი მოვლის ჩათვლით. ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს სათანადო საცხოვრებით, საცხოვრებელი ბინით, გასართობითა და სამედიცინო მომსახურებით.

**პრინციპი 5.** ბავშვი, რომელიც ფიზიკურად, ფსიქურად ან სოციალურად არასრულფასოვანია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი განსაკუთრებული მდგომარეობისათვის შესაფერისი სპეციალური რევიმით, განაღებებისა და ზრუნვისით.

**პრინციპი 6.** ბავშვს მისი პიროვნების სრული და პარმონიული განვითარებისათვის სჭირდება სიყვარული და გაგებება იგი უნდა იზრდებოდეს, როგვანც ეს შესაძლებელია, თავისი მშობლების მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით, ყოველ შემთხვევაში — სიყვარულის, მორალური და მატერიალური უზრუნველყოფის ატმოსფეროში. მცირეწლოვანი ბავშვი, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისისა, არ უნდა დააშორონ დედას. სა-



მითონი დაბნობილი, ა. წლის.

# ლექსი, როგორც ბავშვ-ბავშვს



ზოგადობისა და საზოგადოებრივი ხელიხელულების ვალია, განსუფთვებით იზრუნონ ბავშვებზე, რომელთაც არა აქვთ საკმარისი საარსებო საშუალებანი, სასურველია, მრავალშვილიან ოჯახებს გაეწიონ სახელმწიფო ან სხვა დახმარება ბავშვების შესახებ.

**პრინციპი 7.** ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს უფასო და, პირველ სტადიაზე მინც, საჯაროებელი განათლება. მას უნდა მიეცეს განათლება, რომლის შემდეგობითაც, თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, საშუალება ექნება, განავითაროს თავისი ნიჭი და მსჯელობის უნარი, ასევე, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის შეგნება და ჩამოყალიბდეს საზოგადოების ვარგის წევრად.

მათთვის, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის განათლებასა და სწავლებაზე, სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს მის ინტერესთა საუკეთესოდ უსრუველყოფა. ეს პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, შრობებს ექისრებათ.

ბავშვი სრულად უნდა იყოს უსრუველყოფილი იმ თამაშობებითა და გამართობებით, რომლებიც განათლების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება.

**პრინციპი 8.** ნებისმიერ ვითარებაში ბავშვი უნდა იყოს მათ შორის, ვისაც პირველ რიგში ეკუთვნის დაცვა და დახმარება.

**პრინციპი 9.** ბავშვი დაუქვლი უნდა იყოს გულგრილი მოპყრობის, სიხასტიკისა და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან. იგი არ უნდა იქცეს არანაირი სახის ვაჭრობის ობიექტად.

ბავშვი არ უნდა მიიღონ საშუაოზე დაწესებული ასაკოვანი მინიმუმის შესრულებამდე. მას არავითარ შემოსევებში არ უნდა დაევალოს და არ უნდა დაერთოს ნება, შეასრულოს საშუაო, რომელიც მავნებელია მისი ჯანმრთელობის ან სწავლებისათვის, ან ხელს უშლის მის ფიზიკურ, გონებრივ ან მორალურ განვითარებას.

**პრინციპი 10.** ბავშვი გამიჯნული უნდა იყოს ისეთი პრაქტიკისაგან, რომელიც რასობრივი ან რელიგიური დისკრიმინაციის წაქეზებას ქწყება. იგი უნდა იზრდებოდეს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო მშობის აღმოცენების სრულად უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ვნებრება და ნიჭი მოსმარდება სხვა ადამიანებისათვის ხანსარებელი სამსახურს.

(ბაზ. ...პრინციპი, № 02. 91 წ.).



ბავი ბაიშილი

## ადამიანც

3163 გინდა იყო ჩემი მკითხველი, ქალი, კაცი, გინდა გასათხოვარი, შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი, გიხოვთ, აღმისრულო ეს სათხოვარი: ცხოვრებაში რა შეცვლასა იწყებ და ბედლიც კეთილგუნებანი თან დავდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ, რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი! იყავი ტურფა, იყავ უებრა, მდიდარი, პრძენი, მხენი და კვიანი, მაგარა ფიქრისგან არ ვანიშორი, რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი! შემოხვევამ მოგცა ბეგერი ჭონება, ხელმწიფედ დავსვა, გქმნა სრულსგინი? მაშინაც გმართებს უფრო სისვენება, რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი. ეგემ, კეთილი, ბედს არ უყვარდი, მოგეკლა ვულო, ვყო სეველინი? ნუ დაეცემი, დასაღებ ვამბარდი, გასხოვდეს, რომ ხარ ადამიანი! დაე, იცვალოს გარემოება, თუნდ ზალხის სიმამაც მოგცეს ზიანი, თვით ნუ იცვლები! მოვა დროება, გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი. ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოამქეთა ვილოდ, სამშობლო შენი მარად გასხოვდეს, თუთ გსურს გახედ ადამიანად!

მიწისძვრის შემდეგ

სახსრბუმი — 49 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო, აქედან 20 — საშუალო, 18 აბსარული, 16 დაწყებითი, 19 ხეივანი-ბაღი. 70 პროცენტი მთავარ ფუნქციას, 80 პროცენტზე კაპიტალურ შეფასებას მოითხოვს.

მედიკალიზაცია — 84 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო; 87 საშუალო, 10 აბსარული, 17 დაწყებითი, 16 ხეივანი-ბაღი. მათი 70 პროცენტი ავარიალია.

პასტორალიზაცია — 80 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან (12 საშუალო, 11 აბსარული, 7 დაწყებითი; 16 ხეივანი-ბაღი) 75 პროცენტი ავარიალია.

მწიკი — 15 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა; 8 საშუალო, 7 აბსარული, 8 დაწყებითი, 9 ხეივანი-ბაღი. დღეს მათი 95 პროცენტი თავიდანაა ასაშენებელი.

პლანეტის უბილავი ჯგუფები

ოზონის ფენა — ჰენი კლანეტის ცაზე — კვლავ საფრთხეშია. რამდენიმე წლის წინათ არქტიკისა და ანტარქტიკის თავზე აღმოჩენილი „ხერხულები“ კვლავ იმუქრებიან მომავლენებელი კოსმოსური სხივების შემოშვებით. ოზონის ფენა არც პლანეტის სხვა ადგილებშია ჰელოდებულად შეყარა და უსაცდელი. ზუბტ მინიკემთა სიმფრის გამო მეცნიერებს ენეფრისბით არ შეუძლიან დამაჩერებლად უსახსროს კიბება — რა დღეა ოზონის შერევა?


გაქრულდება აბსოლუტურად უდავოების ინტენსიური კვლევა. 12-24 კმ-ის სიმაღლეზე ზედაზედ უშვებენ სხვადასხვა ხანის ამარატორი აღტარებელი ტრატორებულ ზონდებს. ზოგიერთი ხელსაწყოს იხსნა ხაქმოდ დღეა — ირახე, სამხალი, იონახი კილოგრამით კი. ისინი იღებენ მკერის სიჩქებას, ატარებენ ნაირგვარ დაკვირვებას და მერე პარაშუტით ეშვებიან დედამიწაზე.

გულმოდგინად კომპიუტერში

დედამიწაზე მრავალი რელიგია, მგაჩამ კალიფორნიას შეუძლია დაკვირვების ანალიზი უნიკალური „რელიგიათი“ — კომპიუტერების კლდით.

კომპიუტერების სექტორში დაახლოებით 1200 ცალკე ვეტირანებული. ისინი იკრიბებიან ტაბარში, სადაც საკურობებელზე დგას ორი კლდობრივი განათივებელი კომპიუტერი. მისი კლდობრივი შეტება მკარხელობად ითვლება. ლოცვა, რომელსაც მომდგარი წარმოთქვამს, დაახლოებით ასე ვეტირს: „კომპიუტერი ჰენი მეუფეა. მოდუნდით, მარტორული დეი. კომპიუტერი და იმუშავს იქვეს მავიარად. კომპიუტერი გულმოდგინად...“

ვერსიანდ ირნიოლოგთა დეკვირებთა, ხოლო დროს ვერსიანის ტემპებსა და პარკებში მინიშნულებზედა იმატა ველოდებულთა თუთიუხების რაოდენობა. ეს ცვლიტარი ვერსიანებში, ტრევენს რა ვუხის მიუყვარულ პატაროთა თხილ ხიხებს, ხშირად იღუბებინა შემოილიან და სიციხისგან. თუცა ზოგი თუთიუხი კარგად შეეგუა ახალ პირობებს და მემკვიდრეობასაც კი იძლევა. მეცნიერთა აზრით, თუთიუხი



შევი, რომელიც ვერსიანის ტემპებში ზუნებრივი მებერი არა ჰყოფი, ასობედ წელიწადში შეეგუებიან ახალ ვარემოს და საკმაოდ მომარადლებიან.

ბარზანის პარტინორი პენსიონატი

ცნობილი კინოვარსკვლავებისადმი ინტერესი ჰელოდებურად არ ქრება მარნაყ, როდესაც ისინი ასაკის გამო ტოვებენ კინოს და ცხოვრობენ. როგორც ჰელოდებრივი პენსიონატები, მგარამ ვარდა მასობებისა, კინოს ზეგან კინოვარსკვლავი ცხოვრობენც. ასეთი „იდეალური“ ცხოვრება შემანაწე ზიტა, რომელიც თან ახლდა პოპულარულ ტარზანს ჟენებლებში თავგანდასავლებს დროს.

ზიტა, რა ხანია, ორმოცდაათს გადასცდა, ცხოვრობს ამ ერთი მლიონი დოლარის პროცენტებით. „ტარზანში“ მონაწილეობისათვის რომ მიიღო. შემანაწე ცხოვრობს შტატ კალიფორნიის ქალაქ კონეზოში თავის მშობლივანებურებზე 82 წლის ტონი ენტრისთან ერთად.

ამ პირი წლის წინათ ზიტა დაქვარდა. მას შემდეგ იგი მიწვეულილობას იმით იქებებებს, რომ დროდადრო უუარებს თავის ჰელოდებულს. მას ეს ძალიან საიშინებებს.

შეირთებულ შტატებში გაიძღეს მრავალი წინი. რომელიც ასწავლის დიფერენციალურ, როგორ მიქცენენ ვულს. როგორ დახანდონ იგი საუკეთესოდ. მგარამ ხოლო ხანს გამოცემლებში უტრადლებს ქიფენი რაოდენ ოპირტად წლამდე ხავეუებს. მათთვის გამოცემა ვერსიანებში სიფინანსო ხა, კიბების, რაც ემზარება მათ საქმინა თეიტების განვითარებაში. ამ გამოცემთაგან განსაკუთრებით სანატრებსთა ურადლება. ური გამოცემა „სტრის ძალა“ (ცნება ანტიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს), აგრეთვე ვერსიანები „შენ და ხულა“, „შენ და ინტელექტების საქმარა“.

ეს გამოცემები ხელს უწყობენ სახარკ საქმეში მომარადების ვარკვევას, მათთვის ხანკების შეტყობას. ამ ხანკებში ხავეუებს შეუძლიათ შეიტანონ დანაშაღი, მიიღონ ვარკვეული მოგება და არცევა, როგორ მოიხმარონ იგი შედეგებში. ხავეულებისათვის შემოღებულთა აგრეთვე სახარკ წინაგეტი, მგარამ მათ ენაიორება ერთ-ერთი მშობლად ხელმოწერეს. ხავეუების ანბარები დაუდგენულია სახარკ საქმინაზე კონტრაქტების ფედერალური კომისიის მიერ. ვარკვლებზე, რომ ცოტა ხანია ამგვარი ხავეუერი განვიღობება ყველა ხარკთან შეტყობებს.

ბანის უნიკალობა

დასავლოვარგამანდ ზოლოდა ჰეტირის აზრით, შინაური კატის ხანობა მინიშნელოვანწილად მის ფერის დაბრკობებულში. შავი კატა ნერაული და მარტორიბარია.



ძალზე მისწონს ალტრისი. შავ-თეთრი კატის უუვარს თამაში და ადვილად ეთივება პარტორის, ვანსაკურობითი — ხავეუებს. ზოლოთა გულმოდგინდობა და არა მარტორადმანაწეობთან, თანამომქმენთან კონტრაქტსაც კი ეტივდება. ვანსფერები დღევანდობრები არიან და მინიშნელოვან უუვარს, თეთრი კატა ნერაული და ბუტბად და ხშირად ჰდება ხოლმე ავად.



# კა ვიკითსოთ

ანტონან დე სენტ-ეზიუარი დაიბადა 1900 წელს კალკატაში.

იგი იყო პილოტი, ფრანგული აეროდრომის უფროსი ინჟინერი, პარკოტერი, შემდეგ კი — კომპანია „აეროფოსტა-არხანტინას“ სავაირო ხაზების დირექტორი.

მისი პირველი მოთხრობა — „ნახვრათის ფონტა“ — 1928 წელს გამოვიდა, ხოლო მეორე — „ღამის ბაჭრანა“ — 1931 წელს. ამ მოთხრობამ სპეციალურ ბავშვებს მიუძღვნა ანტონანის.

ანტონან დე სენტ-ეზიუარი ნიმიერი თვრანალების კალვითა და მთელი სფლითა და ბუღით მხაზობრედა ყველაფრის, რაც მხანადა ღმებრდა. 1935 წელს იგი საბოთო კაპოტირე ჩამოვიდა და ბუღთბილი ნარკომები მიუძღვნა მოსკოვს. მხაზობრის სპეციალურ მოვის დროს იგი, კომოტო ფრანგული ბაჭმთბის კორნსორციეტი, მიუძღვნა ბაჭმთბამს თვრანის ბეჭდა, მოგვალადა, კომოლსადა ზაზიზი თვრანადა. აღმხანობისადმი დიდი სიყვარულითა ბაჭმთბული მისი საუბითესო ნარკომები — „აღმხანობის მიწა“ (1939 წ.)

გიტლერიზმის წინააღმდეგ კატოტრიკის სანტიმი ბრკოლსი წლები იგი მიუძღვნა ბაჭმთბი მიწაწილა. მოვის დარწმობის ანტონან დე სენტ-ეზიუარი უკვე აღარ მხაზობრედა ამიაციოში. ჰრავალი ხიყარიის ზმდაბად მიღებულმა ბრილომამა ამიაციოში სახსაზრის უფლება მოუსკო მას. მარკამ იგი მიიწმ დარბრუნდა თვრთფრინამს და იბრკოდა ბჭრის მიბრ საფრანგეთის დავარკობად. ამის ზმდაბ თვრთბი ამოკიკაში მიუძღვნა, კომოტო თვრანატი. დარბრცხბულ და ბაჭმლი საზრბლოლო დარბრთ, მისხანობითა და დარბარბლებიხადმი სიყვარულითა აღმხან მიი მოთხრობა „სახბდრო ფრინატი“

ჰრავალი დარბკოლბის ბადალახბის ზმდაბ ანტონან დე სენტ-ეზიუარი ისეა ახარხამს ამიაციოში დარბრბამს, კომ უფალო მიწაწილაში მიიღოს ბრკოლაში. იგი ახ დროს თი-თვრის ხბიბარბა — ახანაბბის დარბარბლად კომბინეზონის ჩაცმა და თვრთფრინამის კაბინაში ჩაჭვრბამ კი არ ზმრულია, მარკამ მას ბიღმე ზმრულია მანბანის ზარბთა და ბაჭმბი-ფრკმბიდან სრულა. იგი ისეა ხმდაბ ბჭრის, რამდენიმე საბჭოლო დარბალბამს ანტონანს და 1944 წლის 31 ივლირის სავაირო ბრკოლოთ იღუპება.

## ანტონან დე სენტ-ეზიუარი

ნახატები — ავტორისა

თარგმან ბიოტრბი ჩიხაბაჭმ



# ბავშვების უფლებები



**ლექსი პირბახ**

აპირბახს პითოზა პაპუშაინებაან, რომ ექ წინან დიღს მივაშქვანან. მა სერიოზული მიჯაი ჩორდა მინქათვინ; იგი ჩხი სასამთოთხ მა-  
გონარია ამავანად, მაგამა მე სხვა მიჯაიჩი მჩინდა. ამ დიღს ვაშალ-  
ფარი მხიჩი, საფუძინთინ დაწერილი წინანაიხი კი. და კიღას მართი,  
მაგამა მიჯაიჩი. იგი სასრანამთოთხ ცთარობს, წაღას მას ზიან და წიტი.  
მა. მას მაგამა მახარება წიარობს. და თუ ვაშალ ექ წაშაუტი სამარისი არ  
არის, მაგამა მე წინას მივაშქვანი პაპუშა. რომაილი ამ სრულსამთადა  
აღმარინად იმდა. ვაშალ დიდი სომა პაპუში ითო მინსლად (მაგრამ მან-  
ლიან ცოტანს ანტონს) ეს! აპირბახ მე ანე უმავსორობა ჩაქნ მიღწანან:

**ლექსი პირბახ.**

რომღას მე პაბარა პიტი იპი.

1

ექვსი წლის რომ ვიყავი, ერთ წიწინში, რომელშიც უღრან ტყეებზე იყო ლაბარაკი და რომელსაც „ნაღვილი ამბები“ ერქვა, ერთ შესანიშნავ ნახატს წაფაჩდი: მახრჩობელა გველი რომელიღაც ნადირს ულაპაჯდა. აი, იმ ნახატის ასლი.



დიღებმა მირჩიეს, ხელი ამელო მახრჩობელა გველებს ხატებზე. შგინიან იწებოდა თუ ვაჩედან, და მეტი გულისყურით მოეკიდებოდი გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკას და გრამატიკას. ამბობო იყო, რომ ექვსი წლის ასაკში უარი ვთქვი მხატვრის ბრწყინვალე კარიერაზე. ნომერი 1 და ნომერი 2 ნახატის უზღვევსოვლად გული გამიტება და დიდებს ხომ არაფრის გაგება არ შეუძლიათ სხვების დაუწმარებლად, ბავშვითვის კი ძალიან მომჭანტყველი, ყველგოთის წინასწარ აღუსნას მათ ყველაფერი.



წიწინში ეწერა: „მახრჩობელა გველები თავიანთ მსხვერპლს შილი-სადა, დაუღუგეოვს ყუაპავენი. ამის შემდეგ მათ განმარტვის თავიუ კი არა აქვთ და ექვსი თვე სინაივთ, რომ საკმელო მოინებოზი.“

მე ძალიან ბეგრს ვფიქრობდი ჭუნგლების ხიფათით დასავსე ცხოვრებაზე და ფერადი ფანჭილი სურათი დახატე. ეს იყო ჩემი ნახატი ნომერი 1.



ჩემი შედეგები დიდებს ეუჩვენე და ვკითხე, თუ შეგეშინდათ-მეთქი. „გამა ჭული საშოშია?“ — მომიგეს მათ.

მაგრამ ჩემი ნახატი ჭული არ იყო. ეს გახლდათ მახრჩობელა გველი, რომელიც გადაყაპულ სპილოს ინგლებდა. და მაშინ შე შეინთი ჩახებატ სპილო, რომ დიდებს ნათლად დაენახათ ყველაფერი. მათ ხომ ყველაფერი უნდა აღუსნას კაცმა ჩემი ნახატი ნომერი 2 ასეთი იყო:

ამრიგად, იძულებული ვაგხვდი, სხვა პრობლემა ამერჩია და მწირნიესი ხელითა შევისწავლე. თითქმის თელ დღედაღამს შემოეფიქრებე და მუდამ ვთქვა, რომ გეოგრაფია ამ საქმეში ძალიან გამომადგა. თვალის ერთი გადავლებით შემიძლია გამერჩია ჩინეთი არიზონისაგან. ეს კი ძალიან სასარგებლოა. თუ ლამით მხარი გექვს და გეზი დაეკარებ.

ჩემი ცხოვრების ზახზე ბევრ სერიოზულ ადამიანს შეგვედროვარ, დიდასან მიცხვარია დიდებს შორის და საშუალება მქონდა, ძალიან ახლო გავცნობოდი მათ, მაგრამ ამან მაინცადამიანც კერაფერი შემატა მათ ჩემს თვალში.

როცა ისეთ ადამიანს შეგვედებოდი, რომელიც სხვებზე უფრო ნათელი გონების პატრონი ჩანდა, ჩემს ნახატ ნომერი 1-ს ეუჩვენებდი, რომელიც მუდამ ამა მქონდა. მიწიღოდა, ამ ბრხიბთ ვამეგო, ნამდვილად გამეპრობი იყო თუ არა იგი. მაგრამ ამ ნახატის დანახავზე ისინი ყვეგოლოვის ერისა და იმვეს მეუბნებოდნენ — „ჭულია“. ამის შედეგად აღარაფერს ვუყვებოდი მათ მახრჩობელა გველებზე, უსიერ ტყეებსა და ვარსკვლავებზე. მათებურად ვიწყებდი ლაპა-

რას და საუბარს ვეზამდი ბრავი გოლფზე. პოლიტიკასა და პასლუხებზე, ისინიც დიდად კმაყოფილები იყვნენ, რომ ასეთი გონიერი ადამიანი გაიცნეს.

II

ასე მარტოდმარტო ვცხოვრობდი და არავისთან შექმნილი გულთითი საუბარში, ვიღერე ერთხელ, ამ ექვსი-ოლე წლის წინათ, სპარის უდაბნოში არ მომიხდა იძულებითი დაშვება. ჩემი თვითმფრინავის მრავალ რაღაც დაუზიანდა და, ვინაიდან არც მეტანიკოსი მახლდა და არც მეგავრი მყავდა. გადაწყვიტე, თავად მეცაღა დაზიანებული ნაწილის შეკეთება. ამაზე იყო ახლა დამოკიდებული ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე. სასწრაფო წყლის მარტო, დიდიდილი, ერთი კვირა თუ მეყოფოდა.

ღამით სიღაბე დავიძინე დასახლებული ადგილიდან მრავალი ათასი მილით დაშორებულ უდაბნოში. გემის დაღუპვის შემდეგ შეუფულ-ოკეანეში ტივზე შერჩენილი მუხდგა-ურეი კი არ იქნებოდა ჩემსაიეთი მოწყვეტილი მთელ ქვეყანას. და წარმოიდგინეთ ჩემი ვაიკება, როცა სისხამ დილით უცნაურმა წყრიალა ხმამ გამაღვიდა:

- თუ შეიძლება... დამიხატე ბავ-კანი!
- რა?
- ბატყანი დამიხატე!

ელანაკრავივით წამოვვარდი ზეზე, თვალეზი მოვიფიქრებე და ყურადღებით მიმოვიხედე. ჩემს წინ საოცარი ბიჭუნა იღდა და ყურადღებით შემომტკობოდა. აი, მისი ყველაზე უკეთესი პორტრეტი, რომლის დახატვაც შემიძლე შეველო. ჩემი



ნახატი, რა თქმა უნდა, ბევრად ჩამოუვარდება ორიგინალს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. დიდებმა ამიერეხი ხატვაზე გული, როდესაც ჭერი კიდევ ექვსი წლისა ვიყავი, და მეც ვერავრის დახატვა ვერ ვისწავ-

ლე. გარდა მახრჩობელა გველისა გავიყვანე და მახრჩობელა გველისა მივინიღე.

გაოცებული მივჩერებოდი ამ მოულოდნელ ზმანებას და თვალსაც არ ვუჭერებდი, არ დავაფიწყდობდი, რომ უღანბოში ვიყავი, მრავალი ათასი მილით მოშორებული ადამიანის სამყვირებელს. ბიჭუნა კი არც გაზანებული ჩანდა, არც დადლოლობით, შინძილითა და წყურვილით ღონე-მიხილი და არც შეშინებული. იგი არაფრით მოგაგონებდათ ბავშვს, რომელსაც გაზ ანეგია შუა უღანბოში, ადამიანთა სამყვირებლიდან მრავალ ათას მილზე, როგორც იყო, მოვიკრიბე ძალ-ღონე და შევეკითხე:

— კი მაგრამ... აქ რას აკეთებ? პასუხად მან ძალიან ნელა და დინჯად გაიმეორა, თითქოს უღრუხად დიდმინიშნელოვან რამეზე ლაპარაკობს:

— თუ შეიძლება... დამიხატე ბატკანი... როცა საიდუმლოება მეტისმეტად დიდი, ადამიანს არ ხალძის, არ დემორჩილოს მას. და თუმცა ადამიანებისგან მრავალი ათასი მილით დაშორებულს და სიკვდილის საფრთხეში მყოფს ეს საქციელი ძალიან სულიერად მეჩვენებოდა, მაინც ამოვიღე ჭიბიდან ქაღალდის ფურცელი და ავტოკალიმი. მაგრამ უცებ მომაგონდა, რომ მე გეოგრაფიაში, ისტორიაში, არითმეტიკასა და მათემატიკაში უფრო ვიყავი გაჭაფული და, ცოტა არ იყოს, მკვებელ ვეფთხარი, ხატვა არ ვიცი-მეთქი. მაგრამ ბიჭუნამ მომიგა:

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. დამიხატე ბატკანი.

ვიინდიან ბატკანი არასოდეს დამეხატა, დავხატე ის, რაც შემიძლო — ეს იყო მახრჩობელა გველი გარედან, და სახტად დავერჩი, როცა ბიჭუნამ წამოთხა:

— არა! არა! არ მინდა სპილო, რომელიც მახრჩობელა გველს გადაუყლაპავს. მახრჩობელა გველი ძალიან საშიშია, სპილო კი — ძალიან დიდი. იქ, ჩემთან, ყველაფერი ძალზე პატარაა. მე მხოლოდ ბატკანი მჭირდება. დამიხატე ბატკანი. და მეც დავუხატე.



იგი გულდასმით დააქვერდა ჩემს ნახატს და მითხრა:

— არა, ამას ძალიან ავიღმყოფენ იერი აქვს. სხვა დამიხატე. სხვა დაუხატე.



ჩემმა მეგობარმა წყნარად და მოწყალებდ გამილიმა:

— შენც ხომ ხედავ, რომ ეს ბატკანი არაა. ეს უკვე ყოჩია. რქები აქვს...

ისევე დაუხებატე, მაგრამ მან ისეც დამიწუნა.



— ეს ძალიან ბებერია. მე ბატკანი მინდა, რომ დიდხანს იცოცხლოს. უკვე ამეცო მოთმინების ფილაო... ჩემი საქმე მაწუხებდა, ძრავის დაწმალს ვეშურებოდი, და კალმის რამდენიმე მოსმით ეს დაუხებატე. თანაც დავძინე:



— აი, ყუთი. ბატკანი, რომელსაც შენ მიხვებ, შიგ არის. და ძალიან გაუბრწყინდა სახე ჩემს პატარა მსაჭულს.



— სწორედ ის არის, მე რომ მინდოდა! როგორ ფიქრობ, ბებერი ბაღალბი დასჭირდება?

- რატომ შეკითხები?
- იმიტომ, რომ იქ, ჩემთან, ყველაფერი ძალიან პატარაა.
- მისი სამყოფი მიინც იქნება. მე

შენ ძალიან პატარა ბატკანი გავუქმე...

იგი ისევე დააქვერდა ნახატს: — არც ისე პატარაა... შეხედე! უკვე ჩასიხინე... ასე გავიყვანი პატარა უფლისწული.

III

კარგა ხანი მოვწინი იმის ვაგებას, თუ საიდან მოვიდა იგი ამ უღანბოში. პატარა უფლისწული კითხვების კითხვებზე მაერდა, ჩემს კითხვებზე კი სიტყვას ბანზე მივდივოდი. შემოხვევით თუ წამოვდივოდა თითო-ორიოლა სიტყვა, რომელთა შემწეობითაც თანდთან აეხდა ფარად ყველაფერი. ასე, მაგალითად, პირველად რომ დაინახა ჩემი თვითმფრინავი (თვითმფრინავს ჩემი თვითმფრინავი, რადგან იგი გაიცოლებით უფრო ძნელი დასახატია), შემეკითხა:

— რა საგანია ეს? — ეს საგანი არ არის. ამან ფრენა იცის, ეს თვითმფრინავია. ჩემი თვითმფრინავი. — მე თავმოწონედ ვამცნე მას, რომ ფრენა შემიძლო. — როგორ! შენ ციდან ჩამოვარდი? — წამოთხა მან. — ჰო... გულუბრყვილოდ მივეუბნე მე.

— საოცარია... და პატარა უფლისწულმა ხმამაღლა გადათქისკრა, რამაც ძალიან მატკინა გული. არ მივეუარს, როცა, გასაჭირში მყოფს, ადგებულად მექცევინ. შემდეგ კი დაძინა: — მამ, შენც ციდან მოხვედი! რომელია შენი პლანეტა?


ამ სიტყვებმა უეცრად მოფინა ნათელი მისი აქ მოსვლის საიდუმლოს და საჩქაროდ შევეკითხე:

— შენ სხვა პლანეტიდან ხარ? პატარა უფლისწულმა პასუხი არ გამცა, თვით წყნარად გაიქინა და მზერა ჩემს თვითმფრინავს მიაპყრო. — მაგრამ ამით შორიდან ვერ მოხვიდოდი... — მითხრა მან და ცუნებაში ჩაიძირა, კარგა ხანს იდგა ცირინდებული. შემდეგ ჭიბიდან ბატკანის სურათი ამოიღო და დიდხანს დაჰყურებდა თავის განძს.

ალბათ წარმოიდგენთ, როგორ დაბინტერესსა მის მიერ გავკრით ნახსენებმა „სხვა პლანეტამ“ და გადავწყვიტე, უფრო დაწერულიყნ შენეჭყო პატარა უფლისწულის ცხოვრება.

— საიდან მოხვედი აქ, ჩემო პატარა ბიჭო? რას ნიშნავს „იქ, ჩემთან?“ — სად უნდა წაიყვანო ჩემი ბატკანი?





ზოგი ისეთი პატარაა, რომ მათი დანახვა ტელუსკოპითაც კი ვერს. როცა ასტრონომი ასეთ პლანეტას აღმოჩენს, იგი მას სახელის ნაცვლად ნომრით აღნიშნავს, მაგალითად, „ასტეროიდი 3251“.

მე სერიოზული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ პლანეტა, საიდანაც პატარა უფლისწული მოვიდა, ასტეროიდი № 612 უნდა ყოფილიყო. ეს ასტეროიდი მხოლოდ ერთხელ, 1909 წელს შეინიშნა ტელუსკოპით ერთმა თურქმა ასტრონომმა. ამ აღმოჩენის შესახებ მან ვეებრთელა მოხსენება წარუდგინა საერთაშორისო ასტრონომიულ კონგრესს. მაგრამ, რადგან ასტრონომს ეროვნული ტანსაცმელი ეცვა, არავის დაუჭერა. ასეთი უცნაური ხალხია ეს ილიდები!



იგი ერთ ხანს ღუმდა, ფიქრებში დაწებულს. შემდეგ კი მომივა:

— რა კარგია, რომ ყული მიაჩქე, ღამობობით სადგომად გამოადგება ჩემს პატასს.

— რაღა თქმა უნდა, ჰკეიანად თუ იქნები, თოკაც გაჩუქებ პატარის დასაბმელად და პალოსაც.

ჩემმა სიტყვებმა ბოთისის შეიკართო პატარა უფლისწული.

— დასაბმელად? რა სასაცილო აზრია!

— თუ არ დაბბი, სადმე წავა და დაიკარგება...

ჩემმა მეგობარმა კვლავ ხმაბილა გადაიკისკისა.

— საღ წავა?

— სადაც მოისურვებს. ააღრებსს თავს და სულ პირდაპირ ივლის...


